ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6098900

ნომერი: AR1918763

თარიღი : 18.08.2022

გაცემის თარიღი : 26.08.2022

გაცნობის თარიღი : 26.08.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მარკ ბრონშტეინის I ჩიხი N6-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , გობრონიძის ქუჩის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , მიკრო/რაიონი II , გაზგასამართი სადგურის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიადი ჩაქსელიანი პ/ნ 27001001019
- ლენტეხი ს. ხელედი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 აგვისტოს №6075616 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 18

აგვისტოს №AR1918763 განცხადებით მომართა ზვიადი ჩაქსელიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 10 აგვისტოს №6075616 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 აგვისტოს №6075616 ბრძანებით №01.11.13.002.448 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 10 აგვისტოდან 2025 წლის 10 თებერვლის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 10 აგვისტოს №6075616 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ სურს საცხოვრებელ ფართობად 2871.95 კვ.მ-ის ნაცვლად 2856.78 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 369.18 კვ.მ-ის ნაცვლად 368.97 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 4985.89 კვ.მ-ის ნაცვლად 4970.51 კვ.მ-ის დაფიქსირება.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმები არ იცვლება, უბრალოდ +0.00, +3.80, +7.10, +10.40, +13.70, +17.00, +20.30, +23.60, +26.90, +30.20, +33.50 და +36.80 ნიშნულების არქიტექტურულ გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 აგვისტოს №6075616 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 აგვისტოს №6075616 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 2856.78 კვ.მ., კომერციულ ფართობად 368.97 კვ.მ., საერთო ფართობად 4970.51 კვ.მ.
2. სამსახურის 2022 წლის 10 აგვისტოს №6075616 ბრძანებით შეთანხმებული +0.00, +3.80, +7.10, +10.40, +13.70, +17.00, +20.30, +23.60, +26.90, +30.20, +33.50 და +36.80 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების შესწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 აგვისტოს №6075616 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 აგვისტოს №6075616 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.